

ბრძანებით №23 8 ოქტომბერი 2021 წელი

დანართი 1

დირექტორი

ზ. შვეარდნაძე

საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის ინდივიდუალური
სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის) საჭიროებისთვის მორგებულ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის მოდულებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანია ხელი შეუწყოს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში აქტიურად და შეუფერხებელ ჩართვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/სასწავლო მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას პროფესიული სტუდენტისათვის; დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რამდენ მოდულშიც/სწავლის შედეგთან მიმართებაშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება პროფესიულ სტუდენტთან, მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სამსახურის ჩართულობით.
5. საბოლოო გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლაზე იღებს პროფესიული სტუდენტი.

მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლები და პროცედურები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) სსსმ პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა/სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;
 - ბ) გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია დეკორატიული მებაღეობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან;
 - გ) პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და

საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის გზით;

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები: კოლეჯის დირექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი.

ა) მე-2 მუხლის 1.ა.) პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით, როცა წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტი, ტარდება აპლიკანტთან გასაუბრება. გასაუბრების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ კოგნიტიურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კოლეჯის კონკრეტული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, კერძოდ: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი (საჭიროების მიხედვით, მოდულების განმახორციელებლების ჩართულობით) ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენენ დასამტკიცებლად კოლეჯის დირექტორს. აღნიშნული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტს შესაძლებელია განესაზღვროს ინდივიდუალური სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები და კომპონენტები, ასევე საგამოცდო დრო.

ბ) მე-2 მუხლის 1.ბ) პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, დაინტერესებული პირი ვალდებულია, წარმოადგინოს მის მიერ დადასტურებული მოდულების გავლის დამადასტურებელი ან ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც, სასწავლო პროცესის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დეკორატიული მეხადეობის შესაბამის/თავსებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/მოდულების სწავლის შედეგებთან და ადგენს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი და გავლილი მოდულების/სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობის საკითხს.

მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება კრედიტი. ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში კი, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიული სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ.

შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმის გადაწყვეტილების საფუძველზე, სასწავლო პროცესის მენეჯერი ამზადებს სამსახურებრივ ბარათს მობილობის მსურველი პირის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული საკვანძო კომპეტენციების შექმნა.

გ) მე-2 მუხლის 1.გ) პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სწავლას ვერ აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, სადაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, რისთვისაც სასწავლო პროცესის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ, უკვე ათვისებულ სწავლის შედეგებს და შეიმუშავენს ინდივიდუალურ სასწავლო განრიგს.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრულ უნდა იქნეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

5. პროფესიული სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, შესაძლოა ჩართულ იქნეს მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.